ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7948318

ნომერი: AR11143174

თარიღი : 15.05.2026

გაცემის თარიღი : 03.06.2026

გაცნობის თარიღი : 04.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქანელას ქუჩას,სასტუმრო ივერიასა და მ. ჯავახიშვილის დაღმართს შორის.; ქალაქი თბილისი , საქანელას ქუჩას,სასტუმრო ივერიასა და მ. ჯავახიშვილის დაღმართს შორის.; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი , ქუჩა საქანელა , N 23; ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. ჯავახიშვილი (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე), N 11; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო, N 82; ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; საქანელას ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქართლოსი რობიტაშვილი პ/ნ 01027064718
- თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 408 ბ. 27

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური ნაგებობები
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საყრდენი კედელი.
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ქართლოსი რობიტაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "საქანელა დეველოპმენტ",

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404718873
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჭიჭინაძე, თენგიზ გასვიანი (01025008256)
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017028350

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7835738
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.03.2026

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის 7835738 ბრძანებაში კერძოდ, ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 10 მარტიდან 2027 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით“ შეიცვალოს ჩანაწერით „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 4 ივნისიდან 2027 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით კალენდარული გრაფიკის შესაბამისად“.

2. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან
2. მიწის დონეების მოსწორება ხიმინჯების თავის დონეზე
3. შენობა-ნაგებობების გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება
4. შენობა №1 მიმდებარედ მონოლითური რკინაბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 1
5. შენობა №1 მიმდებარედ მონოლითური რკინაბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა ხიმინჯების ჯგუფი 2
6. შენობა №3 მიმდებარედ მონოლითური რკინაბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 3
7. შენობა №3 მიმდებარედ მონოლითური რკინაბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 4
8. შენობა №4-5 მიმდებარედ მონოლითური რკინა- ბეტონის ბურღნატენი ხიმინჯების მოწყობა. ხიმინჯების ჯგუფი 5
9. მონოლითური რკინა-ბეტონის რანდკოჭების და კედლის მოწყობა
10. მიწის ფენა-ფენა მოჭრა წინასწარდაძაბული ანკერების მოწყობით

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2026 წლის 31

დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 10 მარტის 7835738 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.